

2021-22 | საშეჯიბრო განაცხადის შევსებისა და გამოგზავნის ინსტრუქცია

კლუბების მენეჯერთა საყურადღებოდ!

სამშაბათს, 17 აგვისტოს იწყება და ორშაბათს, 23 აგვისტოს სრულდება
ახალი, 2021-22 წლების საშინაო სეზონის საშეჯიბრო განაცხადების მიღება

საამისოდ ყველა რესურსი დევს საქართველოს რაგბის კავშირის
მონაცემთა დამუშავებისა და სტატისტიკის სამსახურის საიტზე

VUE.GE

მეოთხე სეზონია, განაცხადი ყველა ლიგაში ივსება და მუშავდება ელექტრონულად

გუნდის შარშანდელი სიის გასახსნელად უნდა შებრძანდეთ შესაბამის ლიგაში
და შარშანდელსავე [2020-21] ცხრილში დაწკაპოთ გუნდის **მწვანე** სახელზე,

სამივე კატეგორიის კრებსითი ნუსხები – კაცები, ჭაბუკთა "ა" და "ბ" – კი იღება საიტის მარჯვენა
სვეტიდან

მანდვეა ლიგებად დახარისხებული და ანბანზე დალაგებული ყველა კლუბის საკონტაქტო ინფოც:
რეესტრის [საკადასტრო] კოდი, კლუბის საშეჯიბრო სახელი, მენეჯერის ვინაობა, მობილური და
მეილი

განაცხადი ივსება ექსელში – სეზონის წინ: დადგენილ ვადაში და ერთხელ!

ამისთვის საიტის მარჯვენა სვეტიდან უნდა ჩამოტვირთოთ **სეზონის განაცხადის ფორმა**
http://vue.ge/2021-2022/SIA/SIA_2021-22.xls და შეინახოთ თქვენს კომპიუტერში

ფორმა უნდა შეავსოთ ქართული იუნიკოდით **[KA]** და გადმოაგზავნოთ მეილზე **siebi@rugby.ge**

განაცხადში შეტანილი ინფორმაცია ოფიციალურია და ნიშნავს, რომ:

- 1) მენეჯერის მეილია კლუბის ელექტრო მისამართი – მიმოწერა წარმოებს მხოლოდ მისი მეშვეობით
- 2) ჩამოთვლილი მოთამაშეები არიან კლუბის წევრები და აქვთ ხსენებულ ლიგაში თამაშის უფლება
- 3) ჩამოთვლილ მოთამაშეებს გავლილი აქვთ სამედიცინო შემოწმება

თუ მოთამაშეს რამდენიმე სახელი ჰქვია – ისინი უნდა ჩამოთვალოთ **"სახელები"** გრაფაში

მოქმედი წესებით, 23-კაცა სამატჩო რაუნდში უნდა გყავდეთ მინიმუმ 6 პირველხაზელი –
აქედან გამომდინარე, განაცხადშიც მინიმუმ 6 მოთამაშეს ახლავე უნდა დაუსვათ **"@"** ნიშანი

მოთამაშის პირადი ნომრის ჩაწერა სავალდებულოა, მობილურისა – სასურველი:
რადგან ორივე საიდუმლო, საითზე არ ქვეყნდება, მაგრამ კავშირის ბაზაში კი ინახება

თუ მოთამაშე სხვა კლუბიდან მიიღეთ – ამ კლუბის სახელი უნდა ჩაწეროთ გრაფაში "შარშან"

თუ განაცხადში 50 მოთამაშეზე მეტი გყავთ – გადადით შემდეგ გვერდზე

პირველადი განაცხადის მიღებისა და საითზე გამოქვეყნების შემდეგ
სეზონის ბოლომდე მეტად აღარ მიიღება სხვა | სანაცვლო სრული სია

ამის შემდეგ

მოთამაშეთა დასამატებლად უნდა შეივსოს დამატებითი განაცხადის მინი-ფორმა

<http://vue.ge/2021-2022/SIA/DAMATEBA.xls>

მოთამაშეთა ამოსაშლელად უნდა მოიწეროთ
გვარი და სიის ბოლო სვეტში მითითებული ნომერი

სეზონის განმავლობაში მთავარი მწვრთნელის შეცვლა ისევე დროულად უნდა მოიწეროთ,
როგორც მოთამაშეთა დამატება და ამოშლა

მონაცემთა დამუშავებისა და სტატისტიკის სამსახური
siebi@rugby.ge